ხელშეკრულება№ N141
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

4 ოქტომბერი 2016წელი

ქ. ცაგერი

ერთის მხრივ, **ცაგერის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში – შემსყიდველი), მუნიციპალიტეტის გამგებლის **რევაზ ბენიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ხვამლი 2009“** (შემდგომში – მიმწოდებელი), **გოჩა ტვილდიანის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანია

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სახსრებით **დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის** -(კლასიფიკატორის კოდი **42100000**); **საოჯახო ტექნიკა**-(კლასიფიკატორის კოდი 39700000) ; **სამედიცინო მოწყობილობები** -(კლასიფიკატორის კოდი 33100000); **ქსოვილის ნივთები**-(კლასიფიკატორის კოდი 39500000); **ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები**-(კლასიფიკატორის კოდი 44500000); **სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები** - (კლასიფიკატორის კოდი 44400000); **ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა**-(კლასიფიკატორის კოდი 31200000); **ქვიშა და თიხა** -(კლასიფიკატორის კოდი 14200000); **ავზები, რეზერვუარები და კონტეინერები; ცენტრალური გათბობის რადიატორები და ბოილერები**-(კლასიფიკატორის კოდი 44600000); **სამშენებლო ქვა, კირქვა, თაბაშირი და ასპიდური ფიქალი**-(კლასიფიკატორის კოდი 44900000); **მოსავლის ასაღები მანქანები**-(კლასიფიკატორის კოდი 16300000) ; **სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო დანიშნულების მანქანა-დანადგარები**-(კლასიფიკატორის კოდი 16600000); **გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები**- (კლასიფიკატორის კოდი 31500000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ს[1]“ პუნქტის შესაბამისად, **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.**

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში სხვადასხვა საქონლის შესყიდვა . (დანართი 1).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება **ლარებში.**

3.2. *დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის (კლასიფიკატორის კოდი 42100000)*-300 ლარი: **საოჯახო ტექნიკა** (კლასიფიკატორის კოდი 39700000) -420 ლარი; **სამედიცინო მოწყობილობები** (კლასიფიკატორის კოდი 33100000)-280 ლარი; **ქსოვილის ნივთები**(კლასიფიკატორის კოდი 39500000)-2900 ლარი; **ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები**-(კლასიფიკატორის კოდი 44500000)-640 ლარი; **სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები** - (კლასიფიკატორის კოდი 44400000)-360ლარი; **ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა**-(კლასიფიკატორის კოდი 31200000)-56 ლარი; **ქვიშა და თიხა** (კლასიფიკატორის კოდი 14200000)-758ლარი; **ავზები, რეზერვუარები და კონტეინერები; ცენტრალური გათბობის რადიატორები და ბოილერები**(კლასიფიკატორის კოდი 44600000)-420 ლარი; **სამშენებლო ქვა, კირქვა, თაბაშირი და ასპიდური ფიქალი**(კლასიფიკატორის კოდი 44900000)-102 ლარი; **მოსავლის ასაღები მანქანები**(კლასიფიკატორის კოდი 16300000)-220

ლარი; სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო დანიშნულების მანქანა-დანადგარები((კლასიფიკატორის კოდი 16600000)-746 ლარი; გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები (კლასიფიკატორის კოდი 31500000)-540 ლარი. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 7 742 (შვიდიათას შვიდას ორმოცდაორი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლება გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღრულ მოთხოვნებს , შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს 1 წელს . მიღება –ჩაბარების აქტის გაფორმებიდან მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო ვადაში საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა ,გარდა იმ შემთხვევებისა როცა ხარვეზები მიღებულია მიმწოდებლისგან დამოუკდებელი მიზეზების გამო. .

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 10 ნოემბრამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.ცაგერის რუსთაველის № 64 .

ინერტული მასალების ხრეშის და ქვიშის მიწოდების ადგილია სოფ.ქორენიში, სოფ.წილამიერი.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდება შესაბამისი აქტის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ეროვნულ ვალუტაში

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 2016 წლის 10 ნოემბერი.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 12 დეკემბრამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი – დავით ჩიქოვანი; ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი–ჯიუ მურცხვალაძე; **ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში.**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ცაგერის მუნიციპალიტეტი

მისამართი
ქ. ცაგერი რუსთაველის ქ.№64

სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი 707017021
ბ/კოდი: TRSGE22

ს/კოდი: 242 574 460

მიმწოდებელი:
შპს „ხვამლი2009“

მისამართი
ცაგერი. სოფ.მახაში
ტ 599 36 08 58
ს/ს. „ლიბერთი ბანკი“

კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE57LB0113179293156000

ს/კოდი: 242 576 583

17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:
ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებელი
რ.ბენიძე

მიმწოდებელი:
შპს“ ხვამლი 2009 “-ის დირექტორი
გ.ტვილდიანი

დანართი N1

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესასყიდი მასალები

Cpv 42100000

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	სოფელი
1	ხრახნიანი რედუქტორი	ცალი	2	20	40	ზედა საირმე
2	ხრახნიანი რედუქტორი	ცალი	2	20	40	ქვედა საირმე
3	წყლის ნასოსი 0,75კვ-იანი	ცალი	1	180	180	წიფერჩი
4	გაზის ხრახნიანი რედუქტორი	ცალი	3	10	30	წიფერჩი
5	ვენტილი 40 მმ-იანი	ცალი	1	10	10	წილამიერი
					300	

Cpv 39700000

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	სოფელი
1	მიქსერი	ცალი	1	60	60	ზედა საირმე
2	გაზის ქურა	ცალი	2	35	70	ზედა საირმე
3	მიქსერი	ცალი	1	60	60	ქვედა საირმე
4	გაზის ქურა	ცალი	2	35	70	ქვედა საირმე
5	გაზის ქურა	ცალი	2	30	60	წიფერჩი
6	სამფეხი	ცალი	4	25	100	წიფერჩი
					420	

Cpv 33100000

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	სოფელი
1	გაზის ბალონი	ცალი	3	35	105	ზედა საირმე
2	გაზის ბალონი	ცალი	2	35	70	ქვედა საირმე
3	გაზის ბალონი	ცალი	3	35	105	წიფერჩი
					280	

Cpv 39500000

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	სოფელი
1	მაგიდის გადასაფარებელი	გრძ/მ	32	8	256	ზედა საირმე
2	მაგიდის გადასაფარებელი	გრძ/მ	26	8	208	ქვედა საირმე
3	მაგიდის გადასაფარებელი	გრძ/მ	19	8	152	წიფერჩი
4	მაგიდის გადასაფარებელი	გრძ/მ	25	8	200	ლეშკედა
5	ფარდები	გრძ/მ	33	18	594	ლაილაში

6	ბრეზენტი ლურჯი ფერის თეთრი გულით 12*12მ	ცალი	4	215	860	ლაჯანა
7	ბრეზენტი თეთრი გულით 12*12 მ	ცალი	3	210	630	სურმუში
					2900	

Cpv 44500000

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	სოფელი
1	არმატურა 14 მმ-იანი პირველი კლასის	გრძ/მ	176	2.5	440	ლაჯანა
2	ბენზო ხერხი	ცალი	1	200	200	ლასურიაში
					640	

Cpv 44400000

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	სოფელი
1	წრლის ონკანი	ცალი	3	15	45	ლაილაში
2	პლასტმასის ონკანი 20მმ-იანი	ცალი	3	5	15	ლაილაში
3	უნიტაზი	ცალი	1	150	150	ქორენიში
4	ნიჟარა	ცალი	1	150	150	ქორენიში
					360	

Cpv 31200000

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	სოფელი
1	ჩამრთველი	ცალი	4	5	20	ქორენიში
2	ვაზნა	ცალი	4	4	16	ქორენიში
3	შტეფცელი დამიწებით	ცალი	4	5	20	ქორენიში
					56	

Cpv 14200000

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	სოფელი
1	სამშენებლო ქვიშა ყვითელი	კუბ.მ	2.8	100	280	ქორენიში
2	ხრეში(ღორღი) ბუნებრივი ქვის მარკა -600, ფრაქცია - 5-10 მმ	კუბ.მ	4	57	228	ქორენიში
3	ხრეში(ბეტონის)	ტონა	5	50	250	წილამიერი
					758	

Cpv 44600000

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	სოფელი

1	პლასტმასის 1ტ ავზი	ცალი	1	280	280	წიფერჩი
2	პლასტმასის 100ლტ ავზი	ცალი	2	70	140	წილამიერი

420

Cpv 44900000

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	სოფელი
1	საფითხნი	კგ	127.5	0.8	102	ქორენიში

102

Cpv 16300000

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	სოფელი
1	ბენზო სათიბელა	ცალი	1	220	220	ლასურიაში

220

Cpv 16600000

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	სოფელი
1	ტაროს წისქვილი	ცალი	1	746	746	ლასურიაში

746

Cpv 31500000

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	სოფელი
1	სანათი	ცალი	12	45	540	ზედა ღვირიში

540

სულ ჯამი: **7742**